თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 16.08.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ გიორგაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გრიგოლ გიორგაძე, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ლაშა გურგენიძე, 4. ელისო მურადაშვილი, 5. ნატალია ასათიანი, 6. თამარ ახვლედიანი, 7. რამინი რობაქიძე, 8. რუსუდან კოვზირიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო ჩხიკვაძე, 2. მანუჩარ ფანჩულიძე, 3. ივანე ჩუბინიძე.

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282422836, 15.08.2024 წ.).

მომხს.: გ. გიორგაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - გრგიგოლ გიორგაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7

ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი- დადგენილების დანართის მე-2 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტში შედის ცვლილება, სადაც დაემატება ,,საერთაშორისო ჩემპიონატი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

,,ბ) წარმატებული სპორტსმენი – საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს, საერთაშორისო ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებში თერჯოლის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე 14-დან 30 წლის ჩათვლით (თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი;“

2.დადგენილების დანართის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით:

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგ სახით :
ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი: II ადგილი -500; III – 400 ლარი.
ბ)საერთაშორისო ჩემპიონატი I ადგილი – 1000 ლარი: II ადგილი -800; III – 500 ლარი.
გ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 2 200 ლარი ; II ადგილი – 1500; III ადგილი – 1000 ლარი ;
დ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 5000 ლარი ; II ადგილი – 4000; III ადგილი – 3000 ლარი ;
ე) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 10 000 ლარი ; II ადგილი – 9000; III ადგილი – 8000 ლარი.
2. წარმატებული მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით :
ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი – 400, III – 300 ლარი;
ბ)საერთაშორისო ჩემპიონატი I ადგილი – 600 ლარი: II ადგილი -400; III – 300 ლარი.
ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 1000 ლარი ; II ადგილი – 700; III ადგილი – 500 ლარი ;
გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 2000 ლარი ; II ადგილი – 1500; III ადგილი – 1000 ლარი ;
დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 3000 ლარი ; II ადგილი – 2000; III ადგილი – 1500 ლარი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -8 , წინააღმდეგი- 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე